დოკუმენტში გამოკვეთილია ოთხი ძირითადი მიმართულება: ბრძოლა არალეგალურ მიგრაციასთან; ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა; საქართველოს მოქალაქეების რეინტეგრაცია და თავშესაფრის პოლიტიკა. ამ და სხვა მიმართულებებზე ეფექტიანი მუშაობის მიზნით გადაიდგა რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა – გაიზარდა კომისიის საქმიანობაში საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის წილი, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ახალი კანონი, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ; ასევე, კომისიის ფარგლებში შემუშავდა ახალი ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“; დაფუძნდა ერთიანი და ქმედითი უწყებათაშორისი ფორუმი, რომლის მეშვეობითაც ხდება მიგრაციის სფეროში მიმდინარე ყველა პროექტის კოორდინირებული მართვა და იმპლემენტაცია. ამგვარად, საგრძნობლად შემცირდა თემატური გადაფარვები ან დუბლირებები და შესაძლებელი გახდა არსებული რესურსების საჭიროებისამებრ გადანაწილება; ჩამოყალიბდა და ამოქმედდა ლეგალური მიგრაციის სფეროში საინფორმაციო კამპანიების წარმართვის კონცეფცია, რომლის ბაზაზეც იგეგმება ე.წ. მიგრაციის სახელმძღვანელოს შექმნა; აპრილის ბოლოს ხელი მოეწერება მიგრაციის სფეროში კვლევისა და სტატისტიკის საკითხებში თანამშრომლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის; 2013 წლის განმავლობაში სასიცოცხლო მნიშვნელობის ცვლილებები მოხდა არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის, საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაციის, ცირკულარული მიგრაციის გავლენის კვლევის, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების მიმართულებით; დაბოლოს, მიგრაციის სფეროში მოღვაწე ყველა შესაბამისი უწყების ძალისხმევით, ქვეყანამ სერიოზულ შედეგებს მიაღწია ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ფაზით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების საქმეში, რამაც სათანადო ასახვა პოვა ევროკავშირის ანგარიშში და უფრო მეტად დაახლოვა ჩვენი ქვეყანა ევროპულ ღირებულებებთან.

საგულისხმოა ისიც, რომ ევროკავშირის დახმარებით კომისია მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან ერთად უახლოეს მომავალში დაიწყებს მუშაობას მიგრაციის 2016-20 წლების სტრატეგიის შემუშავებაზე. დოკუმენტი დაეფუძნება არსებულ გამოცდილებას, გაითვალისწინებს ახალ გამოწვევებს და წარმოადგენს ქვეყნის ხედვას მომავალი ხუთი წლის განმავლობაში.



ENIGMMA: პროექტი „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ შედეგია საქართველოს მიერ ევროკავშირთან თანამშრომლობის სფეროში მიღწეული წარმატებისა. ვგულისხმობ შეთანხმებას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმას, პარტნიორობას მობილურობისათვის და ვიზა ფასილიტაციისა და რეადმისიის ხელშეკრულებებს. თქვენი მოლოდინით, როგორ შეუძლია პროექტს შეუწყოს ხელი საქართველოში მიგრაციული პროცესების მართვის გაძლიერებას?

ქ-ნი თეა წულუკიანი: პროექტი მოიცავს მიგრაციის მართვის სფეროში საქართველოსთვის ისეთ პრიორიტეტულ საკითხებს, როგორიცაა: შრომითი მიგრაციის რეგულირება; პერსონალურ მონაცემთა დაცვა; მიგრანტთა უფლებები და სავიზო პოლიტიკა. თითოეული ამ მიმართულებათაგანი, თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მოთხოვნებთან და მოიცავს როგორც მოსამზადებელ, ისე საიმპლემენტაციო ფაზებს. ამრიგად, პროექტის ჯეროვნად განხორციელებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სფეროში მიმდინარე რეფორმების წარმატებით დასრულების საქმეში. წარმატების ერთ-ერთ გარანტად კი შეიძლება ჩაითვალოს ის მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობები, რომლებიც წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა კომისიასა და მის პარტნიორებს – ევროკავშირსა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრს – შორის.

მიგრაციის მართვა საქართველოში: ვინ ვინ არის? მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია შეიქმნა 2010 წლის 13 ოქტომბერს. კომისია წარმოადგენს მთავრობის სათათბირო ორგანოს, სადაც განიხილება მიგრაციის მართვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები და ხდება მათზე გადაწყვეტილებების მიღება. კომისია აერთიანებს 12 სახელმწიფო უწყებას და მას თავმჯდომარეობს იუსტიციის მინისტრი, ხოლო თავმჯდომარის მოადგილე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეა.

კომისია, მისი ფუნქციონირების განმავლობაში, წარმოჩინდა, როგორც მთავარი პლატფორმა მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისათვის და, როგორც ეფექტიანი ინსტრუმენტი იმ უფლებამოსილებების



კანონის ძალაში შესვლამდე, რაც მოხდება 2014 წლის სექტემბერში, ICMPD, პროექტის განხორციელების პერიოდში, დახმარებას გაუწევს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონსულტაციო წარმომადგენლების ტრეინინგში. უფრო მეტიც, თანამშრომლობა ჩამოყალიბდა იუსტიციის სამინისტროს ტრეინინგ ცენტრთან, რომელიც ორგანიზებას გაუწევს მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებულ ტრეინინგებს ყველა იმ ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობების სპეციალისტებისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის საქმიანობაში. ტრეინინგი ჩატარდება მეთოდოლოგიით, რომელიც შემუშავებულია ICMPD-DRC-ს ფარგლებში „ტრეინინგის და ანალიტიკური პოტენციალის ჩამოყალიბება მიგრაციის საკითხებზე საქართველოსა და მოლდავეთში“ და მათში მონაწილეობას მიიღებენ ENIGMMA -ს მიერ მოძიებული ექსპერტები.

ინტერვიუ საქართველოს იუსტიციის მინისტრთან, ქ-ნ თეა წულუკიანთან

დასაწყისი იხილეთ პირველ გვერდზე 1

ENIGMMA: რას იტყვით მიგრაციის სფეროში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე?

ქ-ნი თეა წულუკიანი: 2014 წლის 5 მარტს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ახალი კანონი „უცხოელთა დამოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა და დამოქალაქეობის არმქონე პირთათვის თვისობრივად ახალ და საერთაშორისო სტანდარტებს მისადაგებულ ნორმებს ადგენს.

კანონის შემუშავება უკიდურესად ღია სავიზო პოლიტიკის შედეგად ქვეყანაში წარმოქმნილმა მოუწესრიგებელმა იმიგრაციულმა პოლიტიკამ განაპირობა. ამასთან, ევროკავშირთან დაახლოების გზაზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მიგრაციული პროცესების სწორი და გააზრებული მართვა, რომელიც სათანადო სავიზო პროცედურების მეშვეობით უნდა განხორციელდეს.

შექმნილი ვითარების მოსაწესრიგებლად უპირველეს საჭიროებას არსებული სავიზო პოლიტიკის შეცვლა და ქვეყნის ინტერესების შესაბამისად, ამასთან, საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით, უცხოელთა საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის საფუძვლების გადახედვა წარმოადგენდა. საჭირო ცვლილებებიდან გამომდინარე, აგრეთვე, აუცილებელი გახდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გაძევების ქმედითი მექანიზმების შემოღება, რაც აქამდე საერთოდ არ არსებობდა.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს პრიორიტეტია ტურიზმის განვითარება და ინვესტიციებისთვის კიდევ მეტად ხელსაყრელი გარემოს შექმნა და შენარჩუნება. პარალელურად, თანამედროვე გამოწვევების ფონზე და ევროკავშირთან მიმდინარე სავიზო დიალოგის ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიგრაციული პროცესების ეფექტიან მართვას. ამ პრიორიტეტებისა და ფაქტორების გათვალისწინებით, ახალი კანონი მიმართულია არა სავიზო რეჟიმის გამკაცრების, არამედ ქვეყანაში შემომავალ უცხოელთა ნაკადების უკეთესი

მართვისთვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზისა და მექანიზმების შექმნისკენ.

კანონპროექტის შეფასების მიზნით მოწვეულნი იყვნენ კვალიფიციური ექსპერტები ევროკავშირიდან. მათ მნიშვნელოვანი რეკომენდაციები გასცეს და ჩაატარეს ნაყოფიერი კონსულტაციები პროექტის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ექსპერტების საბოლოო დასკვნის თანახმად, კანონი თანხვედრაშია ევროკავშირში დამკვიდრებულ ძირითად სტანდარტებთან.

ახალი კანონის ერთერთი სიახლეა, ის, რომ თუკი ადრე უცხოელს საქართველოში შემოსვლისთვის და 360 დღემდე ყოფნისთვის არ ესაჭიროებოდა ვიზა, მისი ამოქმედების შემდეგ, უვიზოდ ყოფნა შესაძლებელი იქნება 180 დღიან პერიოდში 90 კალედარული დღე. აღნიშნული ცვლილება ეფუძნება ევროკავშირში, კერძოდ კი, შენგენის ხელშეკრულების სივრცეში არსებულ პრაქტიკას.

აგრეთვე, კანონი აღარ ითვალისწინებს იმ ქვეყნების ნუსხას, რომელთა მოქალაქეებსაც საქართველოში უვიზოდ შემოსვლის უფლება აქვთ, რადგან მსგავსი ჩამონათვალი გათვალისწინებული იქნება საქართველოს მთავრობის შესაბამის დადგენილებაში, რომლის პროექტზე მუშაობაც ამჟამად მიმდინარეობს. ევროკავშირის, ნატო-ს, შენგენის, დსთ-ს წევრ და სხვა ძირითად პარტნიორ ქვეყნებთან შენარჩუნებული იქნება უვიზო მიმოსვლა ერთადერთი ცვლილებით, რაც მდგომარეობს ზემოხსენებული პრინციპის – 90 დღე 180-დღიან პერიოდში, მრავალჯერადი შესვლის უფლებით – გამოყენებაში.

ამასთან უცხოელი, რომელიც ახალი კანონის ძალაში შესვლამდე საქართველოში შემოვიდა და სარგებლობდა 360 დღის განმავლობაში უვიზოდ ყოფნის უფლებით, კანონის ამოქმედების შემდეგ, მისი მოქალაქეობის ქვეყნის მიმართ სავიზო რეჟიმის შემოღების შემთხვევაში, ვალდებული არ იქნება დაუყოვნებლივ დატოვოს ქვეყნის ტერიტორია, ვინაიდან ასეთი პირები, საქართველოს ტერიტორიაზე უვიზოდ ყოფნის თვალსაზრისით, ისარგებლებენ იმავე სამართლებრივი რეჟიმით, რომელიც მოქმედებდა მათი საქართველოში შემოსვლის დროს, და საქართველოს დატოვებენ მაშინ, როცა დატოვებდნენ, ახალი კანონი რომ არ ყოფილიყო მიღებული.

ENIGMMA: საქართველოში მიგრაციის სტრატეგიის დოკუმენტი ზუსტად ერთი წლის წინ დაამტკიცეს. როგორ შეაფასებდით მიგრაციის სფეროში ჩართული ქართული მხარის მიერ მიგრაციის სტრატეგიის შესრულების კუთხით მიღწეულ შედეგს აღნიშნული წლის განმავლობაში?

ქ-ნი თეა წულუკიანი: ადგილობრივ დონეზე მიგრაციული პროცესების მარეგულირებელი პირველი სტრატეგიული დოკუმენტი 90-იან წლებში შემუშავდა, თუმცა, მისი განხორციელება ხანგრძლივი დროით გადაიდო. ახალი დოკუმენტის შექმნის აუცილებლობა დადგა მას შემდეგ, რაც 2009 წლის ნოემბერში ევროკავშირის თექვსმეტმა სახელმწიფომ და საქართველომ ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას ევროკავშირის „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ. ინიციატივა მიზნად ისახავს არალეგალურ მიგრაციასთან



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



მიგრაციის ახალი სტრატეგიით.

ანალიტიკური განყოფილება დაარსდა 2014 წელს და იგი იფუნქციონირებს პროექტის დასრულებამდე. განყოფილებაში დასაქმებულია ორი მკვლევარი, იგი არის მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს შემადგენლობაში და სწორედ მასთან მოაწერა ხელი ICMPD-მ სპეციალური მომსახურების გაწევის შეთანხმებას მის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ანალიტიკური განყოფილება პასუხისმგებელია შემდეგზე:

- განიხილოს თხოვნები მიგრაციის პროცესის ანალიზის მიზნით, გააანალიზოს კავშირები მიგრაციასა და საქართველოში მიმდინარე მოვლენებს შორის და სხვა სფეროები, რომლებზეც მას ინფორმაციას მიაწვდის მიგრაციის საკითხებზე სამთავრობო კომისიის სამდივნო
- დაგეგმოს და ორგანიზება გაუკეთოს პროექტის ყოველდღიურ საქმიანობებს, რომლებიც, პროექტის სამუშაო გეგმის მიხედვით, შედის ანალიტიკური განყოფილების კომპეტენციაში და რომლებსაც განყოფილებას აცნობებენ ENIGMMA-ს თანამშრომლები.
- მონაწილეობა მიიღონ მიგრაციის საკითხებზე სამთავრობო კომისიის იმ ყოველდღიურ საქმიანობებში, რომლებიც უკავშირდება ანალიტიკურ სამუშაოს და სხვა.

როგორც შეთანხმებულია პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორთან, მიგრაციის მართვის სფეროში **პერსონალური მონაცემების დაცვის** შესახებ არსებული მდგომარეობის ანალიზი განხორციელდება პროექტის მიერ. აღნიშნული ანალიზის მიზანია მხარი დაუჭიროს პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის მიერ გაწეულ სამუშაოს, განსაკუთრებით ეს ეხება საჯარო ორგანოების ინსპექტირებას რათა უზრუნველყოფილი იყოს მონაცემების კანონიერი დამუშავება და, ასევე, საზოგადოების ინფორმირება მონაცემთა დაცვასთან არსებული მდგომარეობის შესახებ. ანალიზის შედეგები გამოყენებული იქნება პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის მიერ რათა მოხდეს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის განხორციელების მონიტორინგი საქართველოში მიგრაციის მართვის სფეროში და მოხდეს კონკრეტული ნაბიჯების დასახვა და რეკომენდაციების მიწოდებამდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. ანალიზის განხორციელება დაიწყო 2014 წლის აპრილში. უფრო მეტიც, პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, თანამშრომლობითი ურთიერთობები ჩამოყალიბდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. ENIGMMA დაეხმარება შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ამ უკანასკნელმა გააანალიზოს პერსონალური მონაცემების დაცვის არსებული დონე ყველა იმ სფეროში, რომელიც სამინისტროს კომპეტენციაში შედის.

კონფერენცია მიგრაციის შესახებ ჩატარდა 2014 წლის აპრილის ბოლოს. კონფერენციაზე ყურადღება დაეთმო საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის განხორციელებას და ამ დოკუმენტის სტრატეგიულ მომავალს. კონფერენციას ესწრებოდა პროცესში მონაწილე ყველა მხარე, როგორებიცაა სახელმწიფო სტრუქტურები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. მათ განიხილეს

საქართველოში მიგრაციის მართვის სფეროში არსებული რეალობა.

დაგეგმილი საქმიანობები

ICMPD და ქართველი კოლეგები ახლო მომავალში გააგრძელებენ იმ საქმიანობებს, რომლებიც პროექტის საწყის ფაზაში განხორცილდა. თუმცა, პროექტი ყურადღების არეალს გააფართოებს პროექტის მიზნებიდან და სამუშაო გეგმიდან გამომდინარე.

საქართველოს მიგრაციის სტრატეგიაში ნათქვამია, რომ მიგრაციის პროცესის ეფექტიანი მართვისა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით მნიშვნელოვანია შემომავალი და გამავალი მიგრაციის შესახებ მონაცემების შეგროვება და მათი სწორი ანალიზი. ამჟამად, მიგრაციის მონაცემთა ბაზები განთავსებულია სხვადასხვა სამინისტროსა და ორგანიზაციებში, რომლებიც ჯერ-ჯერობით მთელი დატვირთვით არ თანამშრომლობენ. დაგეგმილია, რომ შეიქმნას **მიგრაციის მონაცემების ერთიანი სისტემა**, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა შეგროვებას და ანალიზს საქართველოს სხვადასხვა ინსტიტუციებიდან. სისტემას ექნება პოტენციალი, სტატისტიკურ ანალიზზე დაყრდნობით განსაზღვროს მიგრაციის ტენდენციები. ამგვარად, იგი ხელს შეუწყობს მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას. გარდა ამისა, მიგრაციის შესახებ მონაცემების შეგროვება და შენახვა დააკამყოფილებს პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივ და პრაქტიკულ მოთხოვნებს.

პროექტ ENIGMMA-ს პირველი ნაბიჯები და საქმიანობები მიგრაციის მონაცემების ერთიანი სისტემის შექმნასთან დაკავშირებით არის შემდეგი:

- მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან თანამშრომლობით, ENIGMMA-ს თანამშრომლები მონაწილეობას მიიღებენ მონაცემთა სისტემის ჩამოყალიბების სამუშაო ჯგუფის საქმიანობებში.
- ICMPD-სა და IOM-ის მიერ შერჩეული ექსპერტები განხორციელებენ მიგრაციის ერთიანი მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის საჭირო არსებული მონაცემთა ბაზების, მონაცემთა ნაკადის, მონაცემთაარქიტექტურისა და არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების შეფასებას.
- განხორციელდება სასწავლო ტურები ევროპის ქვეყნებში, რომლის დროსაც ექსპერტები ტურის მონაწილეებს გააცნობენ მიგრაციის მონაცემთა სისტემების გამოყენების საუკეთესო გამოცდილებას. სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში განხორციელებულ ორ სასწავლო ტურში (რომელთა შეთავაზება მოხდება ICMPD-სა და IOM-ის მიერ). ტურები შეეხება უცხოელების რეესტრის ფუნქციონირებისა და მართვის საკითხებს. ყოველი ტური დასრულდება ანგარიშით, სადაც აღწერილი იქნება გაცნობილი მონაცემთა ბაზის ძირითადი ფუნქციები, შესაძლებლობები და მახასიათებლები და მისი მართვის მოდელურობები.

უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების სამართლებრივი სტატუსის შესახებ საქართველოს ახალი



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



- **ლეგალური მიგრაცია:** შრომითი მიგრაციის სტრატეგიის შემუშავება; ცირკულარული მიგრაცია, დიასპორის ჩართვა პროცესში, ვიზებთან დაკავშირებული პოლიტიკა და საზოგადოების ინფორმირება
- **ადამიანის ძირითადი უფლებები:** საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებებთან, მონაცემების დაცვასთან, საერთაშორისო დაცვასთან, არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების საკითხებთან, ადამიანების ტრეფიკინგთან და საზღვრების მართვასთან დაკავშირებით
- **საქართველოში მიგრაციასთან დაკავშირებით ანალიტიკური უნარისა და ცოდნის გაუმჯობესება:** ეს განსაკუთრებით ეხება სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაში შემავალ საკითხებს, აკადემიურ წრეებთან თანამშრომლობის ჩათვლით.
- **დახმარება ფაქტებზე დაფუძნებული მიგრაციის პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავებაში,** მიგრაციის გავლენის ყოვლისმომცველი ანალიზის ჩათვლით სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე
- **დამარება მიგრაციის მონაცემებისა და ანალიზის ერთიანი სისტემის შემუშავებაში** მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი - პროექტ ENIGMMA-ს განმახორციელებელი ორგანიზაცია

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD) დაარსდა 1993 წელს ავსტრიისა და შვეიცარიის ინიციატივით. ორგანიზაცია შეიქმნა, როგორც არაოფიციალური კონსულტაციების გაწევის, ცოდნისა და გამოცდილების გადცემისა და მომსახურების გაწევის დამხმარე მექანიზმი მრავალმხრივი თანამშრომლობის პროცესში წამოჭრილი მიგრაციისა და თავშესაფრის საკითხებთან დაკავშირებით. დღეისათვის ICMPD წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ვენაში და რომელსაც ჰყავს 15 წევრი სახელმწიფო, 180 თანამშრომელი, მისია ბრიუსელში და ადგილობრივი წარმომადგენლობები ალბანეთში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, ბულგარეთში, საქართველოში, ლიბანსა და ახლო აღმოსავლეთში, ყოფილი იუგოსლავიის მაკედონიის რესპუბლიკაში, მოლდავეთში, მონტენეგროში, სერბეთსა და ტუნისში და მადრიბის რეგიონში. გარდა ამისა, ICMPD-ის საქმიანობებს ამ სფეროში კიდევ უფრო აძლიერებს ის პროექტები, რომლებიც ხორცილდება ადგილობრივი ოფისების საშუალებით აზუჯაში, ანკარაში, ბეირუთში, ბიშკეკში, ბრაზილიაში, ჩისინაუში, კიევში, პრისტინაში, სან სალვადორში, სარაევოში, სკოპიეში, თბილისსა და ტუნისში.

ICMPD-ის საქმიანობა სამ ძირითად თემას ეფუძნება:

- მიგრაციის დიალოგები, რომლებიც აძლიერებს სამთავრობათაშორისო დიალოგს მიმდინარე დებატებში საერთაშორისო მიგრაციის შესახებ
- შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და განვითარება, რაც ხელს უწყობს მიგრაციის კარგად მართვას და ეროვნული და რეგიონული პოტენციალის გაძლიერებას, რათა სათანადოდ გავუმკლავდეთ მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებულ გამოწვევებს

- კვლევები და დოკუმენტური აღწერა, რაც ხელს უწყობს სინერგიას საკვლევო სოციალურ შიგნით და მის ფარგლებს გარეთ და პასუხობს პოლიტიკის საკითხებზე კვლევების მოთხოვნებს.



ICMPD-ს საქართველოსთან ხანგრძლივი და წარმატებული თანამშრომლობის ისტორია აქვს, რაც დაიწყო შრომის

საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად გამოცდილების გაზიარებით ადამიანთა ტრეფიკინგის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლისა და მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებაში ზოგადი მხარდაჭერის მიზნით. ICMPD გააგრძელა საქართველოში მუშაობა და მხარდაჭერის გაწევა რეადმისიასთან და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე დანიის ლტოლვილთა საბჭოსთან ერთად და მასთან თანამშრომლობით. საქართველო, ტრადიციულად, ICMPD-ს რეგიონული პროექტებისა და პროცესების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პარტნიორია: საზღვრების ინტეგრირებული მართვის პროექტი, პრადის პროცესი და ბუდაპეშტის პროცესი. გარდა ამისა, ICMPD-სა და საქართველოს წარმომადგენელმა კოლეგებმა დაიწყეს მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის ახალი ფორმა - თანამშრომლობა მთავრობასა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს შორის. დაბოლოს, ICMPD-სა და DRC-ის ერთ-ერთი მიმდინარე პროექტი მუშაობს საქართველოს კავშირების გაძლიერებაზე ქართულ დიასპორასთან და საზღვარგარეთ მცხოვრები მიგრანტების საზოგადოებასთან („მიგრანტების როლის გაძლიერება სამშობლოში“).

2013 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობამ და ICMPD-მ ხელი მოაწერეს შეთანხმებას თანამშრომლობაზე, რომლის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის ნოემბერში მოახდინა. აღნიშნული შეთანხმება კიდევ უფრო გააძლიერებს თანამშრომლობას საქართველოსა და ICMPD-ს შორის. საქართველოსა და ICMPD-ს შორის შეთანხმების რატიფიცირებისა და პროექტ ENIGMMA-ს განსახორციელებლად საგრანტო კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, ICMPD-მ თბილისში დააფუძნა თავისი ოფისი, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოში მიგრაციის პროცესში მონაწილე მხარეებთან თანამშრომლობაზე და პროექტ ENIGMMA-ს განხორციელებაზე, რომლის ზედამხედველობას გასწევს ICMPD-ის სათაო ოფისის თანამშრომლები.

პროექტ ENIGMMA-ს საქმიანობები ყურადღების ცენტრში

შრომითი მიგრაციის მართვის მიზნით ENIGMMA მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან. ENIGMMA-ს საქმიანობა შრომითი მიგრაციასთან დაკავშირებით მიზნად ისახავს ამ სფეროში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებული საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების შესწავლას, პრიორიტეტებისა და შესაბამისი სამოქმედო მექანიზმებისა და პროცედურების განსაზღვრას, აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების მომზადებას და საქართველოში შრომითი მიგრაციის კონცეფციის შემუშავებას. სწორედ ეს კონცეფცია იქნება საბოლოოდ განსაზღვრული და განხორციელებული საქართველოს



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



მიაწოდოს ინფორმაცია სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებაში მიღწეული პროგრესის შესახებ.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა,

<http://eu-nato.gov.ge/en/eu/persons-movement>

და

ევროკომისიის, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია მოლდავეთის, უკრაინისა და საქართველოსათვის მიხედვით,

http://ec.europa.eu/dgs/home-affairs/what-we-do/policies/international-affairs/eastern-partnership/visa-liberalisation-moldova-ukraine-and-georgia/index_en.htm

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პროგრამა: მეტი მეტისათვის

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პროგრამა (EaPIC) უზრუნველყოფს დამატებითი ფინანსური დახმარების გაწევას აღმოსავლეთ პარტნიორობის იმ ქვეყნებისათვის (EaP), რომლებიც ახორციელებენ რეფორმებს დემოკრატიისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროებში. წახალისების ეს მექანიზმი შესაბამისობაშია ორმხრივი ანგარიშვალდებულებისა და დიფერენციაციის პრინციპებთან, რომლებიც პირველად შემოტანილი იყო 2011 წელს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის გადახედვის პროცესში: „ევროკავშირის მიერ მზარდი დახმარების გაწევა მისი მეზობელი ქვეყნებისათვის გარკვეულ პირობებზეა დამოკიდებული. ეს პირობები ის წარმატებებია, რომლებსაც ქვეყნებმა უნდა მიაღწიონ დემოკრატიის შენების და გაძლიერების და სამართლის უზენაესობის პატივისცემისა და დამკვიდრების გზაზე. რაც უფრო მეტს და სწრაფად გააკეთებს კონკრეტული ქვეყანა და მიაღწევს წარმატებებს შიდა რეფორმების განხორციელებაში, მით მეტ მხარდაჭერას მიიღებს იგი ევროკავშირიდან“. სწორედ ეს გახლავთ ის მიზეზი, რის გამოც პროგრამას უწოდებენ „მეტი (მხარაჭერა) მეტისათვის (პროგრესის შემთხვევაში)“. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პროგრამა წარმოადგენს დემოკრატიული ტრანსფორმაციისაკენ მიმართული მუდმივი ძალისხმევის გაძლიერების ხელშემწყობ ფაქტორს.

2012 წელს, საქართველოს გადაეცა 22 მილიონი ევრო მიგრაციისა და საზღვრების მართვასთან დაკავშირებული საკითხების გაუმჯობესების მიზნით, როგორც ამას მოითხოვდა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის დიალოგი (საქართველო). პროექტი ENIGMMA 2012 წლის პროგრამული ბიუჯეტით არის დაფინანსებული. გარდა ამისა, **2013 წელს საქართველოს** გადაეცა დამატებით 27 მილიონი ევრო, რისი მიზანიც იყო დასაქმების ბაზრის მართვის გაუმჯობესება და პროფესიული სწავლებისა და გადამზადების შესაძლებლობების განვითარება.

2013 წლის 12 ივნისს, ევროკომისიამ ხელი მოაწერა 2012 წლის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში სპეციალური ღონისძიების დაფინანსების შეთანხმებას - „აღმოსავლეთ პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პროგრამა“. 2013 წლის 14 ივლისს

შეთანხმებას ხელი მოაწერა საქართველომ. პროგრამის მიზანია, დახმარება გაუწიოს საქართველოს მთავრობას მიგრაციის მართვაში საქართველოს ეროვნული მიგრაციის სტრატეგიის, ევროკავშირისა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის დიალოგისა და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პრონციპების შესაბამისად.

ევროკომისიის, EuropeAid-ის მიხედვით, http://ec.europa.eu/europeaid/where/neighbourhood/regional-cooperation/enpi-east/eapic_en.htm

პროექტი ENIGMMA ყურადღების ცენტრში

პროექტი „მიგრაციის მართვის გაუმჯობესება საქართველოში“ (ENIGMMA) არის საქართველოს მიერ ევროკავშირისა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების, ევროკავშირისა და საქართველოს შორის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის, მობილურობის პარტნიორობისა და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისა და რეადმისიის შეთანხმებების განხორციელების უწყვეტი პროგრესის ერთ-ერთი შედეგი. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში. პროექტის განხორციელება დაიწყო 2013 წლის დეკემბერში და გაგრძელდება 2017 წლის ივნისამდე.

აღნიშნული პროექტის მართვა განხორციელდება ერთობლივად საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის მიერ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) ახლო და მჭიდრო თანამშრომლობით. პროექტის მთავარი მიზანია მიგრაციის მართვის სისტემის გაძლიერება სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმასთან შესაბამისად.

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან მოწვეული ექსპერტების ჩართულობით, ითანამშრომლებს საქართველოს ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან, რათა გაძლიერდეს ამ სტრუქტურების უნარი და შესაძლებლობები და გატარდეს ინსტიტუციური რეფორმები მიგრაციის მართვის შემდეგ სფეროებში:



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



ევროკავშირის ტერიტორიაზე მოხდნენ საქართველოს (გავლით), რეინტეგრაცია, დიასპორა, დოკუმენტების უსაფრთხოება, მიგრაციის ინტეგრირებული მონაცემთა ბაზა და ინფორმაციის გაცვლა ევროკავშირთან, შრომის ბაზრები და პროფესიული კვალიფიკაციის აღიარება.

ევროკავშირისა და საქართველოს შორის მობილურობა პარტნიორობისათვის ინიციატივის თანამშრომლობის პირველი შეხვედრა გაიმართა ბრიუსელში, 2010 წლის 15 სექტემბერს. 2012 წლის 30 იანვარს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გამართა პარტნიორობა მობილურობისათვის ინიციატივის ადგილობრივი თანამშრომლობის პლატფორმის პირველი შეხვედრა, სადაც მონაწილეებმა განიხილეს და იმსჯელეს მიღწეულ შედეგებსა და თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებზე.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციაზე დაყრდნობით <http://eu-nato.gov.ge/en/eu/mobility-partnership>

ადამიანების თავისუფალი მოძრაობა:სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა

სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და ვიზების ლიბერალიზაციის შესაძლებლობები პირველად აღნიშნული იყო 2006 წელს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში (ENP AP). საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გამარტივების დაწყების აუცილებლობას ხაზი გაესვა 2008 წლის 1 სექტემბრის ევროსაბჭოს სპეციალური შეხვედრის დასკვნებში. 2008 წლის 27 ნოემბერს, ევროკავშირის იუსტიციისა და საშინაო საქმეების საბჭომ დაამტკიცა ევროკომისიის უფლებამოსილება, დაეწყო მოლაპარაკებები საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შეთანხმებებთან დაკავშირებით, რომლებსაც ხელი მოეწერა 2010 წლის 17 ივნისს და 2010 წლის 22 ნოემბერს, შესაბამისად. ორივე შეთანხმება ძალაში შევიდა 2011 წლის 1 მარტს.

სავიზო რეჟიმის გამარტივების შეთანხმების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეებისათვის შენგენის ვიზების გაცემასთან დაკავშირებით უკვე განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება (შემცირდა სავიზო მოსაკრებელი და ზოგი კატეგორიისათვის იგი სრულიად უფასო გახდა; გამარტივდა მრავალჯერადი ვიზის გაცემა; შემცირდა სავიზო განაცხადების დამუშავების ვადები; დიპლომატიური პასპორტების მფლობელებისათვის აღარ არის საჭირო ვიზის ქონა; განსაზღვრულია მოგზაურობის მიზნის დოკუმენტური მტკიცებულების სია და სხვა).

რეადმისიის შეთანხმების მიზანია, გაძლიერდეს თანამშრომლობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ. შეთანხმება, ასევე, განსაზღვრავს არალეგალი მიგრანტების დაბრუნების სამართლებრივ საფუძვლებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსათვის ასეთი შეთანხმების განხორციელება ახალი გამოწვევა იყო (მთავრობას ამ სფეროში არც

გამოცდილება ჰქონდა და არც სათანადო უნარი და პოტენციალი), ევროკავშირმა დადებითად შეაფასა ქვეყნის მიერ აღნიშნული შეთანხმების განხორციელება.

სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის ხელშეკრულებების, ასევე, სამართლის სფეროში რეფორმების წარმატებით განხორციელების შემდეგ, 2012 წლის 4 ივნისს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ოფიციალურად დაიწყო დიალოგი სამოქალაქო თავისუფლებებსა და უსაფრთხოებაზე და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციაზე. უფრო მეტიც, საქართველომ განახორციელა მთელი რიგი რეფორმებისა, რომლებიც ხელს შეუწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესს. ამის შედეგად, 2013 წლის 25 თებერვალს, ევროკომისიის კომისარის, ქალბატონ სესილია მალმსტრომის ვიზიტის დროს, საქართველოს მთავრობას გადაეცა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა.

სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესში განსახორციელებელ ქმედებებს, რომლებიც ოთხ სტანდარტულ ბლოკად იყოფა (დოკუმენტების უსაფრთხოება, არაკანონიერი მიგრაცია, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება და საგარეო ურთიერთობები და ადამიანის უფლებების დაცვა). ამ დასახული მიზნების წარმატებით შესრულება შესაძლებლობას მისცემს საქართველოს, დაიწყოს მოლაპარაკებები ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის შესახებ. სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა შედგება ორი ეტაპისაგან. პირველი ეტაპი მოიცავს საკანონმდებლო ჩარჩოს, ხოლო მეორე - რეფორმის განხორციელებას. საქართველოს მიერ ამ პროცესში მიღწეული პროგრესის პირველი შეფასება განხორციელდა 2013 წლის ბოლოს.

ევროკომისიამ, შემუშავებული და აპრობირებული მეთოდოლოგიის მიხედვით, შეაფასა საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულება იმ ინფორმაციასა და საკანონმდებლო თუ დარგობრივი პოლიტიკის დოკუმენტებზე დაყრდნობით, რომელიც თავად ქართულმა მხარემ მიაწოდა. შეფასების შედეგად, კომისიამ ჩათვალა, რომ საქართველომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ფაზისათვის განსაზღვრული ორიენტირების შესრულებაში მიაღწია საკმაოდ შთამბეჭდავ პროგრესს. თითქმის დასრულებულია საკანონმდებლო და დარგობრივი პოლიტიკის მიმართ იმ მოთხოვნების შესრულება, რომლებიც დადგენილი იყო დოკუმენტების უსაფრთხოების მიმართ განსაზღვრული ორიენტირებით, ბიომეტრული პასპორტების ჩათვლით და საზღვრების ინტეგრირებული მართვის ორიენტირებით. ამასთანავე, აღსანიშნავია საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი მიგრაციის მართვის, თავშესაფრის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, საგარეო ურთიერთობებისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების პირველი ეტაპით განსაზღვრული ორიენტირების შესრულებაში.

კომისია გააგრძელებს საქართველოსათვის დახმარების გაწევას როგორც სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებაში, ისე განხორციელებული საქმიანობების მონიტორინგში, რომელმაც უნდა დაადგინოს ოთხი ბლოკით განსაზღვრული ორიენტირების შესრულების დონე, რათა 2014 წელს ევროპარლამენტს და ევროსაბჭოს



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ახალი კანონი.

კომისია ამჟამად მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის დახმარებით ევროკავშირის პროგრამის – „მეტი მეტისთვის“ – ფარგლებში მუშაობს კანონზე შრომითი მიგრაციის შესახებ. მიგრაციის ამ დარგის რეგულირება აქტუალური საკითხია საქართველოსთვის. სახელმწიფო ინტერესებისა და ეროვნულ შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, კანონი დაარეგულირებს ქვეყანაში უცხოელთა შრომით საქმიანობასთან დაკავშირებულ აქამდე მოუწესრიგებელ საკითხებს.

გაგრძელება 5-ე გვერდზე 7

ურთიერთობები ევროკავშირსა და საქართველოს შორის

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებისა და თანამშრომლობის საფუძველს წარმოადგენს შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელსაც ხელი მოეწერა 1996 წელს და ძალაში შევიდა 1999 წელს. საწყისი ათწლიანი პერიოდის დასრულების შემდეგ, მისი გაგრძელება ყოველწლიურად ავტომატურად ხდება. შეთანხმება ითვალისწინებს თანამშრომლობას ისეთ სხვადასხვა სფეროში, როგორებიცაა პოლიტიკური დიალოგი, ვაჭრობა, ინვესტიციები, ეკონომიკა, დემოკრატია, ადამიანის უფლებების დაცვა, არალეგალური მიგრაცია, კანონმდებლობა და კულტურა.

2003-2004 წლებში ევროკომისიამ შეიმუშავა და წარმოადგინა ევროკავშირის ახალი საგარეო პოლიტიკა - ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ENP). ამ პოლიტიკის მიზანია გაფართოებულ ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის ახალი გამყოფი ხაზების გაჩენის თავიდან აცილება. ამასთანავე, სამეზობლო პოლიტიკის კიდევ ერთ მიზანს წარმოადგენს ყველა მხარისათვის კეთილდღეობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. საქართველოს ჩართვა ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში, რაც 2004 წლის 14 ივნისს მოხდა, გახლავთ საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი.

2009 წლის გაზაფხულზე, ევროკავშირმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და განახორციელა ახალი ინიციატივა - აღმოსავლეთ პარტნიორობა, რომლის მიზანია საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსიაში, მოლდავეთსა და უკრაინაში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერა. აღმოსავლეთ პარტნიორობა ითვალისწინებს ევროკავშირთან უფრო ძლიერ პოლიტიკურ ასოცირებას, კერძოდ კი ასოცირების შეთანხმების ახალ ეტაპზე გადასვლის პერსპექტივებს და ევროკავშირის ეკონომიკაში უფრო ძლიერ ინტეგრაციას. დაბოლოს, ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში/ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა, ქალბატონმა კეტრინ ეშტონმა 2010 წლის 15 ივლისს ბათუმში დაიწყო მოლაპარაკებები ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების შესახებ.

2013 წლის ივლისში ევროკავშირმა და საქართველომ დაასრულეს მოლაპარაკებები ასოცირების შეთანხმების შესახებ და 2013 წლის ნოემბერში, ვილნიუსის სამიტზე მოხდა შეთანხმების პრაფირება. ორივე მხარე იმედოვნებს, რომ ტექსტის საბოლოო ვერსიის შემუშავება მალე დასრულდება და მას ხელი მოეწერება 2014 წელს, მოქმედი ევროკომისიის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

გარდა ამისა, 2013 წლის 6 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 2014-2017 წლების სტრატეგია ევროპაში ინტეგრაციის, კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებას ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობის საკითხებზე, ორივე მხარის სარგებლისა და ვალდებულებების ჩათვლით.

„საინფორმაციო ბიულეტენი მიგრაციის საკითხებზე“ მკითხველს მიაწვდის ინფორმაციას ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების განვითარებაზე საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ინფორმაციაზე დაყრდნობით

http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_en.htm.

პარტნიორობა მობილურობისათვის

2007 წლის 16 მაისს, ევროკომისიამ გამოაქვეყნა კომუნიკე „ცირკულარული მიგრაცია და პარტნიორობა მობილურობისათვის ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებს შორის“. კომუნიკემ განსაზღვრა „პარტნიორობა მობილურობისათვის“, როგორც ევროკავშირის ეფექტიანი ინსტრუმენტი, როგორც ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებთან მიგრაციის საკითხებზე მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებისა და მიგრაციის ნაკადის მართვისათვის (რეგისტრაცია, მონიტორინგი, ანალიზი და პოლიტიკის შემუშავება), ისე ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების გაზრდისა და არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისათვის. თანამშრომლობა აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ლეგალური დასაქმების შესაძლებლობის ხელშეწყობას ეგრეთ წოდებული „ცირკულარული მიგრაციის“ საშუალებით, რომელიც დაეხმარება საქართველოს მოქალაქეებს, ლეგალურად იმუშაონ, ისწავლონ, აიმაღლონ კვალიფიკაცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და დაბრუნდნენ საქართველოში. ამასთანავე, აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს თანამშრომლობის გაძლიერებას ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.

2010 წლის 16 თებერვალს, საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის ვიზიტის დროს, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ოფიციალურად ამოქმედდა ინიციატივა- პარტნიორობა მობილურობისათვის. ეს სქემა ყურადღებას ამახვილებს მიგრაციის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა მიგრაციის მართვა, მიგრაცია დასაქმების მიზნით, რეადმისია (ევროკავშირის ტერიტორიაზე უნებართვოდ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა და მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების დაბრუნება, რომლებიც



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



მიგრაციის საკითხებზე საინფორმაციო ბიულეტენი # 1

კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი

ძვირფასო მკითხველო!



თქვენს წინაშეა მიგრაციის საკითხებზე საქართველოში მომზადებული საინფორმაციო ბიულეტენის პირველი

ნომერი. ბიულეტენი დაფინანსებულია ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პროგრამის, კერძოდ კი, მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში (ENIGMMA) მიერ, რომელსაც საქართველოში ახორციელებს მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD).

საინფორმაციო ბიულეტენის მთავარი მიზანია, გააცნოს ქართველ და უცხოელ მკითხველს მიგრაციის მართვის სფეროში არსებული რეალური მდგომარეობა საქართველოში, აღწეროს ქვეყანაში მიგრაციასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა და განიხილოს სამომავლო პერსპექტივები. ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ პროცესში ჩართულ და დაინტერესებულ ნებისმიერ მხარესთან და პირებთან იქნება ეს სახელმწიფო ორგანოები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოების სხვა წევრები თუ აკადემიური წრეებისა და მედიის წარმომადგენლები. გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი შენიშვნები, მოსაზრებები და კომენტარები საინფორმაციო ბიულეტენის ბოლოს მითითებულ ელექტრონულ მისამართზე. ამასთანავე, შეგიძლიათ გამოგზავნოთ თქვენი მოსაზრებები იმაზე, თუ რა არის გასაუმჯობესებელი.

ICMPD ENIGMMA პროექტის გუნდი

ამ ნომერში თქვენ გაეცნობით შემდეგ საკითხებს:

- ინტერვიუ საქართველოს იუსტიციის მინისტრთან, ქ-ნ თეა წულუკიანთან
- საქართველოსა და ევროკავშირის შორის არსებული თანამშრომლობის მიმოხილვა
- პროექტი ENIGMMA ყურადღების ცენტრში
- პროექტი ENIGMMA-ს განმახორციელებელი ორგანიზაცია – ICMPD
- მიგრაციის მართვა საქართველოში: ვინ ვინ არის? მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია
- საქართველოში მიგრაციის რეგულირების სფეროში არსებული სიახლეები
- პროექტის საკონტაქტო ინფორმაცია

ინტერვიუ საქართველოს იუსტიციის მინისტრთან, ქ-ნ თეა წულუკიანთან

ENIGMMA: მიგრაციული პროცესების მართვა ერთ-ერთი პრიორიტეტიაგანია საქართველოს მთავრობისათვის. რა განაპირობებს მის ასეთ მნიშვნელობას?



ქ-ნი თეა წულუკიანი: ყოველ თანამედროვე ტიპის სახელმწიფოში მწვავედ დგას მიგრაციული პროცესების ჯეროვანი მართვის აუცილებლობა. ამ მხრივ, გამოწვევის არც გეოპოლიტიკურად საკვანძო მდებარეობის მქონე საქართველოა. ერთ დროს წარმოშობის ქვეყანა დღეს მიგრანტთათვის ტრანზიტისა და/ან დანიშნულების ადგილად იქცა. ევროკავშირთან დაახლოების კვალდაკვალ, სახელმწიფო, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მიგრაციის მართვას; ცდილობს, სწორად შეაფასოს ამ სფეროში არსებული გამოწვევები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილებები. საქართველოს მთავრობის მიზანია, მიგრაციასთან დაკავშირებული საქმიანობა საკუთარი მოქალაქეების ინტერესების დაცვითა და საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების გათვალისწინებით წარმართოს. მხოლოდ ამგვარი პოლიტიკის გატარებით შეძლებს სახელმწიფო, მიიღოს და თავის საკეთილდღეოდ გამოიყენოს მიგრაციის დადებითი ეფექტი.

უკანასკნელ წლებში საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მიგრაციული პროცესების მართვის გაუმჯობესების თვალსაზრისით. 2010 წელს ევროკავშირის რეკომენდაციით ჩამოყალიბებულმა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიამ საგრძნობი ევოლუცია განიცადა და სფეროში პოლიტიკის განმსაზღვრელ ძირითად ორგანოდ გარდაიქმნა. იგი, თავის მხრივ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების ჯეროვნად შესრულების საქმეშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2012-13 წლებში განხორციელებული საქმიანობა, როდესაც განისაზღვრა და დამტკიცდა ქვეყნის მიგრაციის სტრატეგია და დაიწყო მისი პრაქტიკული იმპლემენტაცია. სტრატეგიის მიღებიდან მოკლე ხანში შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების მიერ ერთობლივად შემუშავდა „უცხოელთა და მოქალაქეობის



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



აქ წარმოდგენილი მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ევროკავშირის მოსაზრებებს